ა(ა)იპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

07.09.12. N 112

თბილისი

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე
რეგისტრაციისა და ჩარიცხვის ვადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესის, ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №9/ნ ბრძანების და ,,არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №8/ნ ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების შედეგების საფუძველზე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან პროფესიულ პროგრამებზე სწავლის გაგრძელებისა და ჩარიცხვის მსურველებმა, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ ტექნიკურ უნივერსიტეტში 2012 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე (კვირის გარდა) 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი №350);

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაციის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;

3. განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის მიღება და რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის სპეციალისტს ნ. ჩორხაულს;

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა არაფორმალური პროფესიული განათლების (არსებობის შემთხვევაში) აღიარების პროცედურები განხორციელდეს 2012 წლის 12 და 13 სექტემბერს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №485 დადგენილებით დამტკიცებული ,,არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის" შესაბამისად.

5. 2012-2013 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და ბრძანების ასლების წარდგენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, სსიპ - გამოცდების ეროვნულ ცენტრში და საინფორმაციო ცენტრში უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2012 წლის 15 სექტემბრისა;

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ. კლიმიაშვილს;

7. ბრძანება განთავსდეს ა(ა)იპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროს
ბ. მაისურაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორს ა.ფრანგიშვილს

მოქალაქე: _____

სახელი, გვარი

მისამართი: _____

_____

ტელ.: _____

პირადი ნომერი _____

განცხადება

ბატონო არჩილ,

ჩავაბარე ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების გამოცდა (——— ქულა); გთხოვთ, განიხილოთ ჩემი ჩარიცხვის საკითხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

_____ პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის _____ საფეხურზე.

ვადასტურებ, რომ გავეცანი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საგანმანათლებლო ჩარიცხვის წინაპირობებს.

პატივისცემით,

განმცხადებელი (თუ არასრულწლოვანია, მისი წარმომადგენელი)

_____

სახელი, გვარი

_____

თარიღი

განცხადებას თან ერთვის:

1. ამონაბეჭდი ერთიანი ეროვნული გამოცდების ვებგვერდიდან ზოგადი უნარების გამოცდის შედეგების შესახებ;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ასლი;
3. დაბადების მოწმობის ასლი;
4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და დედანი;
5. ორი ფოტოსურათი (3x4სმ) და მისი ელექტრონული ვერსია კომპაქტ დისკზე (CD);
6. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისთვის);

(პირადობის მოწმობა განმცხადებელს უბრუნდება).